

გვირა, 8 ოქტომბერი 1915 წ.

ფასი 10 კპ.



გამოცხად

იუმორისტ. ჟურნალი

№ 2

ხელის-მოწერა არ მიიღება. მასალები გამოიგზავნება იმ აღრუ-
სით: თიფლის, თიპოგრაფია შრომა, თეოფილ ბოლკვაძე



1936

„დადუმდა ბაგე მართლის. მეტყველი
გულზე დაეჭდო მშრომელი ხელი“

მუდამ სინათლის მაქინებელის
„ამიერიდან დაფარავს ბნელი“.

აკაკის უკვდავი საღამი*)

გამარჯობა თქმენი ასლად მომავალნო!
მე უკვე მიმავალი გეთხოვებათ და ვწუხვარ,
რომ საგულისხმო ანდერძედ ვერას გიტო

გებთ გარდა მარტო სეჭინა-მუდარისა: გი-
უგარდეთ თქვენი სამშობლო.. თქვენი ერი,
როგორც ჩირველი საფეხური კაცობრიობის
მისწრაფებისა, რადგანაც სიუგარულშია ადა
მიანის ბეღნიერება! მ კრამ მისიანა სიუგა-
რულში, რომელსაც სარჩულად სიძართდე
და გულწრფელობა უმექს. უძისოთ ერველ-
გვარი ძრობა ამაობა და მმრომელს არა აქვს
უფლება სი ქას:

„უფალია წემთან! ალილუა!“

*) ეს სიტყვები და შემდეგი ლექსები: მომა-
კვდავის ფიქრები“, „ბავშებისაღმი“ და „მგოსანი“.
სულმათ მგოსანს ჩაძინოლი აქვს გრამოფონში და
მით მისი მშევრი ენის თავისებურობა საუკუნოდ
დაცულია.

მომაკვდავის ფიქრები

I.

თუ ჩემ სამშობლოს გამოაღვიძებს,
ჩემი სიკვდილი, აპა, მეც მზად ვარ!..
მოღი ჯალათო, შენი მახვილი,
შეუბრალებლად, ზედ გულზე დამყარ!
ყოველი წვეთი ჩემი სისხლისა,
თუ კი გამოიტის მამულიშეილსა,
ცოდვა არ არის, რომ მოვერიდო
მაშინ მე ტანჯვას და ოვით სიკვდილსა?
არა სიკვდილი ვერ შემაშენებს,
მამზადებულსა მამულის მსხვერპლსა!
მზად ვარ შევსწირო სული და ხორცი
და სამშობლოზე ვყრიდე მე ფერფლსა.
თუმცა პირადი ჩემი ცხოვრება
ყოველოვის იყო ტანჯვა-ვაება,
მაგრამ სიკვდილში ვპოვ სიცოცხლეს
და ის იქნება ოვით უკვდავება!..
თუ კი იმედი მე საიქის
გამყავ უკეთეს მომავალისა,
რომ ჩემს შემდევი შთამომავლობა
იქნება შემძლე თვისის ვალისა!..
დიალ, თუ მოძმეთ გამოადგება
ჩემი სიკვდილი, მზადა ვარ მეცა!..
გამოლოდიძებულს, სურვილს ქვეყნისას,
ხელს მოუმართავს, მწამს მე, თვით ზეცა,

II.

ბაგშებისადმი

პატარა რომ ვიყავი,
პატარა ბიჭუკელა,
არც შეტი და არც ნაკლე,
აგრე მხოლოდ ოქვენ ხელა;
დიდი რამე მეგონა
ჩემზე უფროსი ყველა.
მაგრამ, რომ ვავიზარდე
ცოტა რამ შევისწავლე
და შეგნებით ცხოვრებას
თვალყური მიმოვალე,
მიეხდი, რომ ასზი მხოლოდ
ორი სამი კარგია,
და დანარჩენი სხვები
ქვეყნისთვის არ ვარგია.
მათ მცნება ძალაა
მომრეობა — მუჭია
და ქვეყნად სათაყვანოდ
უსულეულო კუჭია.
და თქვენ კი არ მიბაძოთ
იმ კუჭია-მუჭიას

და მით არ მიემსგავსოთ
უმნიშვნელო რამ კიას
გიყვარდესთ სამშობლოსთან
ერთად ქვეყნიერება,
მხოლოდ სიყვარულშია
კაცის ბედნიერება.

III.

მგოსანი

ხან უგნური, ხან ბრძენი,
ხან არც ესა ვარ არც ისა,
გარემოების საყვირი
არც მიწისა ვარ არც ცისა

ნუ მკიცხავ მნახო უგნურად
ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა,
სულ სხვა ჰყავს ხელის უფალი
ამ ჩემს გონება — გრძნობასა.

ეს გული სარკედ ქცეულა
ბუნების ნათახელია
მხოლოდ მის სახეს გიჩენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია.

ენაც მას ამბობს, რაც ყურსა
სხვისაგან გაუგონია
ან თვალს უნახავ და ქუსა
გაუზომ-აუწონია.

თქვენ რომ გვინივართ, ის არ ვარ
სხვებს რომ ჰგონიათ რაც ისა.
შეუ კაცი ვარ უბრალო
არც მიწისა ვარ არც ცისა.

უკანასკნელი ამგორი.

დღეს უკანასკნელათ ვეთხოვებით ჩვენს დიდებას, ჩვენს სიმაყს, ჩვენს ყველაფერს, ჩვენს აკაცის.
თითქმის სამოცი წლის განმავლობაში აკაცი
იყო ჩენი სულასდგმა, ჩენი ჰაერი. უმისოთ არ
შეგვეძლო მღრღა, არ შეგვეძლო ტირილი და ურ-
ვა, ის თუ არ მოგვეულებოდა, არ შეგვეძლო სატრ-
ფისათვის გაგვეცხადებინა სიყვარული, მეომარი გა-
გვემნევებინა, დავრდომილისათვის ნუგეში გვეცა,
იუდა გვემხილა და შეგვერცვინა, გმირისათვის პა-
ტივი გვეცა. უმისოთ ვერ ვასწავლიდით ყრმებს
შობლიურ ანბანს. მისი ციური ცეცხლით აღზნე-
ბული პოეზია ერთნაირათ ესალმუნებოდა ყველა
ბედით ჩაგრულს. ქეშმარიტად რომ ის გმირთა გმი-
რი ამირანი იყო, რომელსაც „ქვეყნად ცეცხლის
მოტანისთვის გულს ცეცხლი არ შორდებოდა“.

აკამი საესებით „შეიტქო და შეიყვარა სამშობლო მხარე, ანუგეშა მოძმე მწუხარე, თვალი ილულად დაუკირდა და სცნა ეს ქვეყანა, გაიგო ამ ქვეყნის ცრუ გამოცანა“ და დარწმუნდა რომ ვინც ქვეყანას უანგარით ემსახურება მან ამ ქვეყნისა და საქვეყნო საქმის გულისათვის თავი უნდა გასწიროს, პირადი „მე“, საქვეყნოს „ჩევენ“-ს უნდა ანაცვალოს და ამ ქვეყნისთვის სუ დაიწვას, როგორც პატრუქი. დიდება და თაყანისცემა ასეთ მოღვაწეს, რომელიც საესებით დაიწვა ქვეყნისა და მოძმის კეთილდღეობისათვის. დაილია ზეთი, ჩაიფერფლა პატრუქი, დაიმსხრა დავითის ქნარი.

„და დუშმდა ბაგე მართლის მეტყველი, გულზე დაეჭდო მშრომელი ხელი“ და მას, ვინც სამოცი წლის განმავლობაში მეღვრათ ებრძოდა საბნელეს „ამიერკიდან დაფარავს ბნელი“. მაგრამ მუხლი მოიღრიკეთ დიდებული ცხელის წინაშე, რაღგანაც თვით მის ნაღვაწსა და ნაშრომს ვერავითარი ბნელუკუნეთი ვერ დაფარავს. რამეთუ „მისთანა ცხოვრება იყო და, იგი ბნელსა შინა ჰანას და ბნელი იგი მას ვერ ეწია“.

„და სიტყვა მისი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის და ვიზილეთ დიდება მისი, დიდება ვითარუა მხოლოდ შობილისა მამისა მიერ, სავსე მადლითა და ქეშმარიტებითა“.

მოვიდრიკოთ მუხლი და მოვედით უკანასკნელ ამბორის ყოფად:

„დიდება შენსა მოვლენას,
ციურო ტებილო ძალაო.
დააღნა გული შენს სიმებს
და სული დაიცალაო!“

შათე.

სკაპის ლექსემი

ჩ ე ა ბ ი რ ა ნ ა დ ა

(ეს ლექსი დაიბეჭდა აკამის სიკედილის შემდეგ მხოლოდ უთეარ და ცხოვრება-“ში”)

როს მოდიდდება წყალ-მდინარე
და კალაპოტში ვეღარ ეტევა,
აღელვებული, აქაფებული
კიდევზედაც გადაენთხევა:

წალეკას ნაპირს და თან წაიღებს
მოპირდაპირედ რაც დაუხვდება;
სტიქიონურის ძალმოსილობით
კლდეებს ეხლება და ქვებზე ხტება!..

და ანგებული სიმწრით თავდალმა, უსწორმასწოროდ იმღვრევა ხშირად, გველ-ბაყაყებიც თევზებთან ერთად გამოჰყავს ხოლმე ძალით ნაპირად!..

ხალხიც ასეა: რომ აღელდება და თავის ქერქში ვეღარ ეტევა, ვერ შეჩერებს, როგორც სტიქიონს ვეღარც ვედრება და ვეღარც წყევა.

წალეკას ყველას, რაც ცხოვრებისთვის არ გამოდგება, უქმი ბარგია და გადარეცხავს სისხლით მხოლოდ მას, რაც წარსულიდან აღიარ არგია!...

და როდესაც ის კალაპოტშივე ჩადგება ბოლოს დამშვიდებული, დაიწმინდება და იწყებს დენას სხვა ცხოვრებისთვის გაახლებული!..

ასე ვფიქრობდი და ამ განძრახვას მოვეცარ კიდეც... განხორციელდა: აქამდე მონა ბიუროკრატის დღეს გამოიფხიზლდა ხალხი, აღელდა.

და ორან უნდა კიდევ იკისროს ძალმომრეობის ძველი უღელი!.. განთიადს ელის ალღო აღებით, ნათელს მოელის მოსწყინდა ბნელი!..

მოელის, მაგრამ ჯერ კი არა აქვს მას ის ნათელი გამორკვეული და მრუდესა და სწორს თანწორად ეპრევის, გაურჩეველად გზა დაბნეული!..

აი ეს არის ის დიდი ძალა, რომელსაც ჰქვია რაღაც სტიქია და ხასაც ხშირად ძველი ტალახი თან წაულია... წაულეკია!

სიყმაწვილიდან მოხუცებამდე ეს მწვა გულზე, როგორც რომ ლოდი, და ხალხის ჩევნში გამოღვიძებას ერთხელ, ოდეს მეც მოველოდი.

მაღლობა ღმერთს, რომ მოვესწარი ჩემი სურვილის ასრულებასა, და ვით ბულბული დაბერებული მეც დროთ უგალობ „ქებათ-ქებასა.“

მართალი არის, სისხლი იღვრება, მაგრამ მოითხოვს ამას ბუნება!

წყალი ხორცა ჰპანს და სისხლი სულა, ამას გვიმოწმებს თვით ქრისტეს ვნება.

თვითო-ოროლა კარგიც იჭრება. რომ იმარგლება სიმინდის ყანა, მაგრამ ამიტომ მის გათოხნაზე ხელს ღებს ხოლმე ქვეყანა განა?

მყრალ ბალახებთან ზოგჯერ უეცრად იჭრება ხოლმე ვარდი და ია! საქმე არ არის ერთში და ორში.. საქმე მხოლოდ თვით იდეია!!

ხალი მღელვარებს, ვაშა მის ღელვას! ერთხელ ის მღერიაც გაიწმინდება, როცა ცხოვრება გამრჯვებული კალაპოტშივე წმინდად ჩადგება...

ასე გრძნობს გული, აღელვებული, ხალის მიბაძეთ მოუსვენარი! ვერ შეაჩერებს ძალად ზამთარი, როცა გაზაფხულს ეღება კარი!..

მარგარი ზოილის დედის სიმღერა

ცრა თვეს მუცლით გატარებდი, „ვაით“ გშობე, „უით“ გზარდე. და რად გიკვირს, ყოველს ქალზედ უფრო დედას რომ უყვარდე?..

ქალი მამას ქმარში გასცვლის, ცოლი ქვრივი სხევს წაჰყვება; მაგრამ დედას შვილის ტრფობა სამარეში თან წაჰყვება!

ახლოს გული მისოვის უძგერს, შორს მყოფს ფიქრით თავს ევლება; უფიქრელად თავს შესწირავს, დედა თვის შვილს ენაცვლება!..

რა მრგვლით, შვილო, შემდეგ შავი ფიქრი გულს მიბურავს... ვაჲ, თუ გშიან? ან გწყურავ? ან გცივა და არა გხურავ?

ეგებ გდიხარ ბრძოლის ველზედ, გულს გასვია მტრის ისარი, და რომ წყლული შეგიხვიოს, დედა შენი არსად არი!..

ვაი თუ, შენს ლამაზ თვალებს ყვავი ჰკორტნის და ყორანი, და უნაგრით, უპატრონოდ დაგხვიხვინებს თავს მერანი!..

ვაჲ, თუ შენსა ხუჭუჭ თმასა ჩიტი ბუდეს შიგ უფენდეს? მაშინ დედა შენი ჩიტად გადაიქცეს, შენსკენ ჰფრენდეს!..

დ ი ს ს ი მ ღ მ რ ა

(რომელის ძმაც ბრძოლის გეღზე)

ძმა კარგი და რიგიანი დისთვის არის საქებარი, თუ მასთანაც იმავე დროს არის მისი მეგობარი.

მეგობრობა არის გრძნობის და აზრების შეთანხმება, თვარი უამათოდ არის ანგარიში და გაჰქრება!

მე გოგია მისოვის მიყვარს, რომ მხა და მეგობარი, და მისოვის მსურს მისი ხილვა, მასთან ხშირი საუბარი,

რომ თავიღიმ უეხებამდე ის მამულის შეილი არი, თვის მარჯვენას მისოვის ხმარობს, და მისოვის ულერს მისი ქნარი!

ღმერთო, მიეც გამარჯვება; განსაყდლისგან დაისსენი; დაგვიბრუნე შინ მშვიდობით; გევედრები მონა შენი!..

და თუ მოკვდეს ბრძოლის ველზედ, გაემსკეალოს ისრით გული, მაშინ ჩიტად გადამქენი! მსურს შევიქნე მე ბულბული,

რომ მის საფლავს მარტოხელსა მე ვუსტვენდე გრძნობა მტებარი, და იმ ხმასაც ყურს უგდებდენ არე-მარე, მთა და ბარი...

ც ၂ ၄ ၀ ၆ ს ၀ ၃ ၄ ၁ ၄

(რამელის ქართველი ქავში კავკასია)
მითხარით, ლამაზ ცოლისთვის
ნეტავ რა არის ქმარიო?
ადვილად გამოსაცვალი
ვერცხლისა რამ ქმარიო!

დღეს ერთს მოირტყამს, მეორით
ხვალ დაიშვენებს წელსაო!
თუ დაეკარგა, იტირებს,
მაგრამ გაუძლებს სენსაო!

ქვეით ქალს ვერ შეაშინებს
ქვრივობა, ქმრის სიკვდილიო:
შევს იცვამს, მაგრამ იმედი
გულში უჩნდება ტკბილიო.

მითხარით, ლამაზ ცოლისთვის
აბა რა არის ქმარიო,
თუ არ ადვილად საცვალი,
უბრალო რამ ქმარიო?

ჯ ၁ ၄ ၀ ၆ კ ၁ ၅ ၀

ჰატარა ბიჭი ვიყავი,
ჰატარა ბიჭუკელაო,—
„დაურჩი დედას, კარგი ხარ!“
შემომნატრიდა ყველაო.
ჰატარა გოგო მიყვარდა:

ჰატარა გოგუბანაო,—

ცაში გარსკვლავიც არ ბრწყინვეს
ლიმაზი იმისთანაო.

ორივეს თავი მოეფრინდა,
გულს კარი ჰქონდა ლიაო.

შიგ ჸიკეკობდა ბულბული,

ვარდი ჸყვაოდა, იაო!

გვეგონა, დაბლა ქვეყანა

მალით, ცით, დათაფლულაო,

შიგ სიყვარული ნათესი

ჩენს კარზე ამოსულაო!

თავზე დავიდგით გვირგვინი,

მივდეჭით საყდრის კარსაო.

მამასახლისმა დაგვძახა:

„მღვდელო, ნუ დასწერ ჯვარსაო!“

„ნეფეს სალდათად იწვევენ.

უნდა მოხადონ ვალიო!

სამ წლომდის ქვრივად დარჩება

ხელმწიფის ჰატარძალიო!

დავლონდი ჰატარა ბიჭი,

ჰატარა ბიჭუკელაო!

„ვაი შენს დედას საბრალოვ!“

შემომტიროდა ყველაო.

ჰატარა გოგოც ატარდა,

ჰატარა გოგუცანაო!

მაგრამ ჩემ დაბრუნებამდი.

სხვა ნახვა ჩემისთანაო!...

ს უ რ ვ ი ლ ი

მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა

ვხედავდე თავისუფალსა,

რომ ძალით ვერ აშინებდენ,

ვერც ნებით უხვევდნენ თვალსა!...

მინდა, რომ მისი სახელი

გაითქვას ძველებურადა

და მისიანი ყველანი

ერთად სტხოვრებდენ ძმურადა!

მინდა, რომ მისსა დიდებას

დამდერდეს რუსთველის ქნარი

და იღვიძებდეს „მ ხმაზე

ტაშის კვრით ხალხი მძინარი!...“

მინდა, რომ... მაგრამ ეჲ, ქმარა

ფრთა შევაკეცოთ სურვილისა,

თორემ რა მოჰკლავს უფსკრულსა

მამულის-შვილის წყურვილსა.

უ დ ა რ დ ე ლ ი კ ა ც ი

ყველასათვის კარგი მსურს,

ბოროტების მტერი ვარ.

გულში არ წევუშვებ შურს

და მით ბედნიერი ვარ!...

მე ბეკრს არას-დავეძებ,

რაც მაქვს, ცოტის ვჯერივარ;

ქვრივ-ოხერს არას ვტაცებ,

ისეც ბედნიერი ვარ!...

ჰატიოსან ოფლის ვლვრი:

მეც მუშაკად ვწერივარ;

უსაქმურ კაცს ვუყვირი:

„მხედავ, ბედნიერი ვარ!“

ხან მაქვს წყალი და პური,

ხან-და-ხან მშიერი ვარ,

მაგრამ ბედს არ ვედური,

მაინც ბედნიერი ვარ!...

ბატონიც ვარ, ყმაცა ვარ,

ჩემთვის ყველაფერი ვარ!

ხომ მხედავ, ვარ, რაცა ვარ?

ვარ და ბედნიერი ვარ!...

მიყვარს გაჭირვებული,

მეც მისებრ ოხერი ვარ!

თუმც არ მაქვს გროში ფული,
მაგრამ ბედნიერი ვარ!..
— ლილ-კაცებს თავს არ ვუკრავ,
— რა მათი საფერი ვარ?
უმათოდაც, არ ვფარავ,
ჩემით ბედნიერი ვარ!..
სანამდის მაქვს ძალ-ღონე,
ვიღრე არც ხნიერი ვარ,
ვიძახებ თავ-მომწონე:
„ვარ და ბედნიერი ვარ!“

ახალ-შოდის ჩალი.

„ერთი ქალისას ამბობდენ,
მშენიერება არია!..
ნეტავ მას, განც კი გახდება
იმისა შეგრძართა!..
აშ ღრმაშ საქართველოში
არავინა ჰქუას ტოლიო,
მეტამ ფინ ღიასა, რომ ჰქავდეს
შისებრ დამაზი ცოლით?..
ტაძარი არას ტრაფობისა
მასა უმნიკო გულით;
ბეგრი ჭაბუქი გაინახას
მის გამა გაღახულია!
ფითა ბულბუ-ო კოგობ გარდს,
დასტრობან უძაშვილებით;
ეხეთქებიან ერთმანეთს
უსაქმო ცუდაუტებით
მაგრამ აშ დაშიან ქმნილებას
სხვა მხრით უჭირავს თვალით...
მოდით და ნახეთ საქაბა
ჩემი ქართველი ქალია!
წაველ და გნახე დამაზია:
მართლა რომ მოსაწყინია!
მაგრამ შემცდარი პრძანდება.
გისაც ქართველი ჰერია!

სახელად ერქა მაშინა;
გსოქია: თუ რა არას მოდა-თქო?
ძველი ღრრ რომ უთვალით,
მარამ ერქმეოდა-თქ!

თავ-მოხდილი, საკუთარ ამებშია
სხეგბისაც ჰქონდ ჩართული
სხვა ენით ამიფლურტელდა,
ეზარებოდა ქართული!

ამითბება: „როგორ ფაქტორებ
ქართულად ჩაცმ-ტერგასც!“
ნახეგრად იყა ტიტეტედა...
თოქო პაირიბს ცურვასთ
გატეტებითა შეტეტედა,
დასტრადა როგორც ქალია,

ის ტუტეტების დამწეტედა
და მათი გულის-გალია.
მხოლოდ ეს ისატებოდა
იმის ჟურნან თვალებში:
„შე წემი ღღე და სოფელი
ჭრდა დაჭაოთ ბაჯებში!“
და ეს სიტეტები ეწერა
იმის მშენიერ სახესა:
სხვა საქმე არ მაქვს, მე მხოლოდ
აშეუბს გუგებ მასესა.
მომწონის გალინა, შალინა,
შძულს გარდები და თა!
სამშობლო რასა შიშვიან,
შეწეერსაც წაუღიაო!“

ნადირობა

უძღვნი ჩემს ძაღლს

კულ-ქიცინა და შავ-ყურა,
ჩემო ძალოო, ჩემო მურა,
სუყველიმ ჭირი მოგვამოს,
ვინც მე ტყვილად დამემღურა...
—

რაღან კაცი მეგობარი
უსასყიდლო არსად არი,
სულ ძებნით რომ გაღვიაროთ
ოც-და-ათ, მთა და ბარი,

— აშ მეგობრად გირჩევ შენა!..
თუმც, პირ-უტყვო, არ გაქვს ენა.
მაგრამ გშევნის კუდის ქნევით
ერთგულების გამოჩენა.

— მე რომ სევდით მიწუსს სული,
შენც გილრიანას მაშინ გული,
წუწუნით თვალებში მიცეკრ
შენ კულ-ამოძუებული.

— და მოლხენას რომ შემატყობ,
ჩემს სიხარულს შუა იყოფ;
კუდს აქიცინებ, ნაგარდობ,
ყურებს ცევეტ, ჰყეფ და ამაყობ!

— არ ხარ კაცი შავ-პირი,
მეგობრებს აშ აღარ ვსტირი,
რაღანც შენ დაგემეგობრე—
კულებს შენ მოგვამოს ჭირი!..

— ბევრნი ტყვილად თავს იმკობენ,
კაცი ვართო, ამაყობენ,
მაგრამ მხოლოდ შენ გბაძავენ:
ზოლობენ და ვერ იტყობენ.

უსაქმეტრად ტყვეილა ჰყეფენ,
საზრდოს სუნთ დაეძებენ,
ძლიერს ფეხებს უსლაქავენ,
სუსტებს კი საზრდოს სტაცებენ.

ვედავ, გაძირდენ კაცები,
ნაცვლად მრავლობენ მხეცები,
მაგრამ ბევრნი ვერა ჰხედვენ,
რაღანც არიან ბეცები!..

აწ მე და შენ ვინალიროთ
და მჭერეტელნი გავაკვირვოთ:
მოედნებედ გამოვაგდოთ
ის მხეცები, დავიჭიროთ.

ჩუ! გამოხტა ერთი მხეცი!
სსი!... ჰერა მაგას!... მაგას ეცი!...
რა მხეცია, ერთი ვნახოთ?
დამართნია კიდეც ქეცი!..

თავ-მსვილაა და შავ-პირი,
ჩამოუგდია ქვიქვირი,
ეხლა ვიცი, ვინც ბძანდება:
ბატონია დიდი ვირი!

ეგ კუდ-მოკლე, შუბლ-მაგარი
პირუტყვების თავი არი,
თუმც გარჩევა კი არა იქს,
სწორედ უჩნს მას მთა და ბარი!..

მეგობრები ჰყავს ათასი,
თუმც კიტრია მაგის ფასი!...
— შეუტივე მაგ ცურ-გრძელსა,
მმუ! ამუ! ჰერა მაგას!... სსი! ..

ტყვეილად გახლართულა თოქში,
სჯობს, წამდანდეს ვირის ჯოგში!
„აცე, ვირო! აცე, ვირო!“
მივაძახო: ჩოქში! ჩოქში!“

აბა, კიდევ, ჩემო ძალლო,
მოუყევე ახლო-მახლო,
გამოაგდე მოედანზედ
მხეცი, კბილი კი არ ახლო!..

ჩუ! გამოხტა!... ესეც ორი!...
რა მხეცია? — გახლავსთ ღორი!
ღრუსუნით მოძუნძულობს,
მსუქნადა იქს ტანზედ მძორი.

კუდს აბზექს და თავს დაბლა ჰხრის,
მისის ღრუნჩით მამულსა სთხრის,

სხვის ეზოში ნაგავსა სჩხრეს,
გამოაქვს და შარაზე ჰყრის.

მაგის ყველას ეშინია,
რაღგანც აქს დიდი ზეინია.
თვისას სერის, სხვის ეზოს სწმენდავს,
ერთგული და მომჭირნეა!...

ჰერა მაგას! ნუ შეგეშინდა!
ეგ პირუტყვი ჩვენ ნუ გვინდა!
წასულია მაგისი ღრო,
მაგის დილა დაიბინდა!

სსი! აწ თავი მოუარე,
უბინე და გაამწარე,
რომ ხალხში ალარ გამოჩნდეს,
მოძებნოს თავის სალორე!

მოუყეფე! აბა! ეცი!...
ჩუ! გამოხტა კიდევ მხეცი!
აბა სუანით, რა მხეცია,
თუ არა ხართ ყველა ბეცი!

ცურ-ცვიტინა და კუდ-გრძელა,
მოუწულებს ნელ-ნელა!
აბა კარგად გამოვიცნოთ,
დაუკვირდეთ მაგას ყველა!


ვხედავთ, ვიცნობთ: გახლავსთ მელა,
მაგან ყველა მოგვინელა:
არც მტერსა და არც მოყვარეს,
არ ზოგაცს თუ დაიხელა!...

წინ მეტად შორს იყურება,
სხვის ეზოში რომ მიძრება,
და ვი მაგის მიმღობსა,
რა უწყალოდ ტყავი სძვრება!

სხვის ხარჯით გასუქებული
დაღის ეგ გაწუწკებული,
გაუტანლობით, ლალატით
და ეშმაკობით ქებული!

სსი! მურა, მაგას უკბინე!
სერი გადაარბენინე!
კუდიდამ ტყავი ააძრე
და თავზედ გადააფინე!...

მოუყეფე მორბის მგელი,
ეგ მყრალი და საძაგელი;
სულ მაგისგან ამოვარდა
საწყალი ჩემი სოფელი!..



1840—1915

ურცხვად, უშიშრად ტანტალობს,
საზრდოს სტაცებს ყველის, ძალობს,
მაგრამ ვერვინ რას უბრდას,
რადგან ოვითონ ღომის სწყალობს.

—
მაგრამ ღომისაც მოუვა. დრო,
მოაგონდეს თავის სორი,
უტეს ტყეში გლიჯინობდეს,
აღარ ჰქონდეს ბინა მყუდრო!

—
მაშინ მგელსაც დაივიწყებს,
ტაცებაზედ ხელს იაღებს
და, ახლა რომ ფეხებს სლაქავს,
იგივე ძაღლი შეუყეფს.

—
მოუყეფე კიდევ ჩერა!
ან და ნუ ჰყეფ! აწ კი კმარა!...
თორემ ამ ერთგულებისთვის
დაგვერქმევა შეტიარა!...

—
დღეს სიმართლეს ვინდა ეძებს!
დავანებოთ თავი მხეცებს!...
თუ სუყველა გამოვაგდეთ,
ცორას ვნახავთ ჩვენში კაცებს!...

—
ეს ჩვენი ერთგულება,
უფიქრობთ, ბევრს არ ეყურება!..
მართალისთვის, კარგად ვიცით,
რომ ბევრი დაგვერქმურება!..

მაგრამ შენ, ჩემო ჭუცურა,
ტკბილად მყეფო, კარგო მურა,
სუყველა შენ გენაცვალოს,
ვინც ამ ლექსიედ დამემდურა!

აკაკ.

სიკვდილი

(დასასრული. იხ. „შათრახი“ № 1)

III

ამიტაც სულთამხუთავმა და გავფრინდით!..
თვარეს ავცილდით, ვარსკვლავებს გვერდით ავუა-
მრეთ და მიგაწყდით ერთ მნიშვნელობას. „აქ არის ქარ-
თველების საგანეო!“ — მითხრა ჩემმა წინამდლვარმა და
შემიყვანა წალკოტში. ქვეყნიურ ოცნებას არ შეუ-
ძლია წარმოიდგინოს მისი სიკეთე!.. თვალგადუწვდე-
ნელ ტალავერში ტახტზე ისხდენ ორ პირათ მეფე-
დელოფლები. ყველაზე პირელი ადგილი ეჭირა კა-
ცებში დავით აღმაშენებელს, ქალებში თამარ მეფეს.
მათ მახლობლათ იყვენ ვახტანგ გორგასლანი, ორი
ბაგრატი, გიორგი ბრწყინვალე და სხვანი. რიგ-რი-
გათ იყვენ ჩამწერივებულნი, ღირსების გვარათ; ზო-
გიერთები ისე შორს იყვენ, რომ ბუზის ოდნათაც
არ მოჩანდენ... ირაკლი ვერსად შევნიშნე, და
რომ ვიკითხე, ასე მითხრეს: „სარდლების გუნდში
გადასულა ინებაო!..“

როცა მიმიყვანეს, თაყვანი ვეცი მეფეთ-მეფეს.
დიდებულმა ჯერ ვინაობა გამომიყითხა და მერე მი-
ბანა: „რათ იტკინეთ უტკიგარი მუცელი, ან ჩენ
რათ შეგვაწუხეთო?“

პასუხი რომ მოისმინა დავით აღმაშენებელმა,
ფიქრში ჩავარდა; შემდეგ მიუბრუნდა თამარს:

დელოფალო — მეფეო! შენ, მხოლოდ შენ
შევშენის გამოყითხო დაწვრილებით ქვეყნის ამბავი
ამ ახალ მოსულსო.

თამარმა ღიმილით შეხედა, თითქოს შუქი მია-
ფინაო, და მიუგო:

— ღიმილო მეფეთ-მეფეო მხოლოდ ერთათ
ერთი მზის ელვარება ფანტას ბნელს და იყენებს
დღეს, მთვარე მხოლოდ ბნელში კაშკაშობს და
წყნარათ ისერის სხივებს, იმ სხივებს, რომელიც მზი-
საგანვე წყალობათ მიუღია. ჩემი შუქი თქვენივე
ანარეკლი ელვარება!

— არა, ჩემო ღირსეულო შეილი-შეილო! მე,
როგორც მამასახლისს, საუნჯე გარედან შემიკრებია
და ოჯახში შემომიტანია; შენ, როგორც ქვეყნის
შესაფერ დასახლისს, მიგილია, შეგინახავს, მოგივ-
ლია და სწორი თავდარიგი მიგიცია. შენ უჩემოთ
და მე უშენოთ თითო სრული არ ვიქნებოდით,
ნახევარ-ნახევარი დავრჩებოდით. ისეთივე პირველო-

ბა შეგფერის მეფეთა შორის, როგორც მე, და მაშ შენი კირნახული ქვეყნის ამბავი შენვე გამოკითხეო.

— უმჯობესია, ჩემო მწყალობელი, ჩენმა კა- რის კაცმა ცველამ თავ-თავის ხელობის შესახებ გამო- კითხონ და ჩვენ მოვისმინოთო.

მოეწონა ეს ჩევა დავით აღამაშენებელს და გაგზავნა შიკრიკი სარდლების გუნდში: „უპირველე- სი მათგანი გამოცადდესო“.

დაბრუნდა გაგზავნილი და მოახსენა: „სარ- დლებში დიდი უთანხმოება გახდავთ, ბატონი! პირ- ველობის ერთი-მეორეს უთმობენ: მხარგელები გამ- რეკელს, გამრეკელი კახაბერს, კახაბერი ჭიაბერს, და ცველანი ერთათ კი გიორგი სააკაძეს შეყურებენ; მაგრამ გიორგი სააკაძე შორს იქრს თავის პირვე- ლობასო“.

— თავმდამლობა გმირთა ბუნებაო, — ბრანა აღმაშენებელმა და გაჩუმდა.

— რადგანაც ისინი ვერ შეთანხმებულან, კა- ნონის მდებლებს მივინდოო და იმათ გადასწყიტონ ეგ საქმეო, — ურჩია თამარმა.

წინ წამოდგენ აღმულა-ათაბაგი, გიორგი ბრწყი- ნვალე და ვახტანგ მეექცე; შევიდენ სარჩევლში, მაგრამ იმათშიც უთანხმოება მოხდა. აღმულის და გიორგი ბრწყინვალეს ვახტანგი არ დაეთანხმა.

— რა ამბავიაო, — ბრანა აღმაშენებელმა, — აქაც იღარი იშლიან ქართველები თავის იმქეყნიურ ჩვეულებას?

— მეფეთ-მეფეო! მოახსენა ვახტანგმა, ესენი ასახელებენ გიორგი სააკაძეს. მართალია, ის გიაო- ცარი გმირი იყო და „მისი საქმენი საარაკონი“, მაგრამ მის დვაწლს ჩრდილი ფარაგს.

— არა! შემცდარი აზრიაო! — სოქეა გიორგი ბრწყინვალემ. მართალია, დიდი მოუხავი საპატიულ კაბას იცვამდა და თათრულ ჩალმას იხვევდა თავზე, მაგრამ ის ყოველთვის და ყოველგან მაინც ქართვე- ლი იყო, სამშობლოს სიყვარულით უძევრდა გული და მზათ იყო — სულიც შეეწირა; და თუ მისმა დვა- წლმა უნაყოფოთ ჩაიარა, მის მიზეზი უფრო სხვე- ბი იყვენ: მშინ როდესაც ის თავის ვაჟები შეი- ლებითა და მცირე გუნდით საარაკო საქმებს ჩადი- ოდა, მოხმარების ნაცვლათ სხვები ხელს უშლიდენ. თვით თემურაზ პირველი სტვირის გუდით კარი- კარზე დაწანწალობდა, და როცა ქართლ-კახეთს შა- ვი დღე ადგა, ის იმერეთში „შაიფარვანიას“ ლათა- იობდა. არა თუ ქართლ-კახეთს მიაყენა ჭირი მისმა კარდაკ სიარულმა, თვით იმერეთიც გაირყენა მი- სი დამოყრებით. მისმა ასულმ დარეჯანმა აურ-და- ურია მთელი დასავლეთი საქართველო და თითქმის სასოწარკვეთილებამდი მ იყვანა. ამისთანა დროს მე-

ტი რაღა ექნა გიორგი სააკაძეს?! ქვეყანა მას ტყუილათ ადებს ბრალს.

— კი, — მაგრამ სპარსელები ხომ იმან მოიწყენა? თათრებს ხომ ის ეპატიუებოდა? გარეგნობით ხომ შეცვლილი იყო? — იკითხა ვახტანგმა.

— მართალი არის, მაგრამ ეს სულ მოსატყუე- ბელი მოიცვენება იყო. თვითონ შენ არ იყავი, რომ კათოლიკობა გინდოდა მიგელო? გათათრებითაც გა- თათრდი, მაგრამ შენზე ეჭვი არავის შემოუტანია, ერთგულებათაც ჩაგითვალეს ეგ შენი გადასხვაფერე- ბა, ამიტომ რომ შენ მეფე იყავი, და ის კი უბრა- ლო კაცის შვილი.

აქ დიდი უთანხმოება მოხდებოდა, რომ თამა- რი არ ჩარეცლიყო და არ ებძანებინა: „მეც თანახმა ვარ გიორგისო მოიყვანეთ სააკაძეო!“

წინ წამოდგა სიმდგროით სააკაძე, საოცარი და საოცნებო თვალ-ტანადი მოურავი. შევხედე თუ არა, მაშინვე გამევლო გუნდებაში: „აი ეს ყოფილა რუს- თველის ტარიელი-მეფეზი!“ მთელი მისი დღევანდე- ლი ჩამოავლობა რომ ერთათ შევაწებოთ, მის ფე- ხის ფრჩხილათაც არ გამოჩნდებიან!

იმას უბანენეს, რომ გამოეკითხათ ჩემთვის ქვე- ყნის ამავი. ისეთი თვალით კი შემომხედა, თითქოს უნდოდა — შევტყო, ეს ჭიალუა საიდან მოთრეულაო, და ცალყბათ მყითხა: „რასა იქს დღევანდელი ქარ- თველობა? ხომ ისევ ისე ძევლებურათ არისო?“

— იღარ, ბატონო! თავი უწვრილდება, გულა- უპატარავდება და მუცელი უდიდება-მეტქი, — ვუპა- სუხე.

— ვე ვაჟაცათ კიდევ ვარგან?

— რატომ არა? თვისიანზე გულდიდი გახლა- ვან, გარეშეების კი შიში აქვთ.

— იარაღ როგორ ხმარობენ?

— ძალიან კარგათ! როცა ლხინში არიან, ძა- ლიან გამხედავთ აგერებენ ხოლმე ერთი-მეორეს, შინაურობაში თავს არ იზოგავნ.

— მაშ დღეს სახელგანთხმული გმირი აღარა- ვინ გყავთს?

— როგორ არა? დარჩია, შიქელაიშვილი, და- თუნაიშვილი, კურუა და სხვანი.

— მაღლობა ღმერთს! მათი ღვაწლი? მათი გმირობა?

— დიდი და შესანიშნავი! თუ საღმე შეგიუ- ლებენ ქვრივ-ობოლს, უიარალს, უძლურ დედაკაცს, მაშინ ძალიან ვაჟაცაცანის იჩენენ! თაქს დაესხმიან ხოლმე და გაცარცვავენ.

ეს რომ ესთქევი, ვეღარ მოითმინა ვახტანგ რჯულის მდებელმა და მომაყვირა;

— კანონი და სამართალი?

— ცრუემოწმობა კანონათ შემოვიდა, ცრუ- ფიცი ამაზათ ღირს.

— როგორ თუ ცრუ ფიციო? მომაძახა ერთმა წვეროსანმა, — სარწმუნოება?

— დღეს აღარც ლლუცაა და აღარც მარხვა.

— ეს სულ ცუდი აზრდის ბრალი ყოფილი! და რას შვრებიან ქალები? ნუ თუ აღარ არიან ცოლები, დედები და დებიო? — იკითხა შეწუხებით თამარია.

— გახლავან, დელოუადო! გახლავან, მაგრამ სულ სხვანაირათ გამდერიან.

— განათლებული თაობა? — იკითხა პეტრიშიმ.

— განათლებული თაობა ისევ ჩრდილშია: რა-საც გაიგონებენ სხვავან, სულ იმას იმეორებენ, თავისთავათ ვერაფერს ვერ ახერხებენ. არც ერთი მათგანი კატათ არ ჩაიგდება, მაგრამ ლომობას კა ჩემობენ. როცა საქმე მოითხოვს შრომას, ერთი ალთას გარბის და მეორე ბალთას. უბრალო თავმყვარეობას და თავის პაწაწუნა პირადობას ქვეყანას და ქვეყნის საქმეს სხვერპლათ სწირვენ, გული კუჭი ჰერნიათ და თავი — ფეხები.

აქ ისე გამიტაცა ლაპარაკის წყურვილმა, რომ ვვონებ ერთ წელიწადსაც ვედარ გავათავებდი მათ შესამკობელ იამბიკოებს, რომ ვიღუც მოხუცი არ გამომხტარიყო და არ გაეწყვეტინებია სიტყვა... ის იყო თურმე საბა-სულნან ორბელიანი. გულდაწყვეტილი მიუბრუნდა მეფებებს და მოახსნა:

— როგორ გევაღრებათ ამის ყურის გდება! არ იცით, ეს ვინ არისო? მე რომ სიბრძნე-სიცრუეში ყიამყრალა მყავს აწერილი, ის გახლავთ, და სულ უსიამოენ რასმე ლაპარაკობს, თვარა ლმერთმა ნუ ქნას, რომ საიქაო. ასე გაფუჭებულიყოს.

ეს რომ მოისმინეს, დავით იღმაშენებელმა ულფშებში ჩაიკინა; თამარმა გაიღმია და სოქვა: სწორეთ მართალი უნდა იყოსო! ეს აქაურობასაც აურევსო და ისევ გააგდეთ იქითკენ, საიდნაც მოსულოა. თქმა და გაონება ერთი იყო: გამოცინდენ აქიდან, იქიდან ბოქაულები, მტაცეს ხელი, ერთი მისონა პანლური მჩანთქეს, რომ სულ ბზიალ-ბზიალით წამოვედი მაღლიდან... გამხდა ბრეგვა მიწაზე და კიდევაც გამომელვიდა.

აკაკი.

გამოძახებლი

ჰეი, ჰეი — გესმისთ, გესმისთ
ჯურლმულებში მოპარტულნო,
ყანის მუშავ ბედ დამწვარნო
ცხოვრებისა უმაღლურნო!

თქვენ მაშვრალნო, მძიმე შრომას
წამით არის ჩამოსცილდით,
ხმა მოისმის გლოვის ზარის
თქვენც აცრემლდით, აქვითინდით.

შეუერთეთ თანაგრძნობა
დღლს ქართველებს, ჭირის მნახველს,
მოურწყევით ცრემლით კუბო
თქვენს ვარამის გამომსახველს.

ნურას ირცხვით, მაგ ძონქებში,
არც რამე გაქვთ აქ შესაშინი,
ჰკადრეთ, ენა გააგონეთ
მისგან განაშალაშინი.

„არ მომკედრა, მხოლოდ სძინავს“ —
უგალობეთ შუბლ სხივოსანს,
თქვენგან მეტაო ემება
დიდ აკაკის, ჩაგრულთ მგოსანს.

ვ. ჭურნია.

სახელ-დახელო

კაი ხოუვა ამ წელს, კარგი წელი ეს დადგა.
ჯერ ისევ ახალ წლამდე ყურები გამოგვიჭედს:
თათარი მოდისო. ახალ წელს ქალაქში ჩამოვაო.

ვერ მიგართეთ გაზინაყი...

მაგრამ, თუმცა გაზინაყი შეგვრჩა, მაგრამ არა-
ყი არა გვქონდა — ერთმანერთისთვის ახალი წელი
მიგველოცნა და გამწარებული პირი გაზინაყით ჩა-
გვეკელოზებინა.

არაყის ჯანი გავარდეს ღვინოც არ იშოგბოდა.
თუ ვინმე იშონა, ისიც სიფხიზლის მცელებმა და
დარაჯებმა წაართვეს. ზოგს პროტკოლიც მიარ-
ტყეს ახალ წელს საჩუქრად.

არა, ეს დღესაწაულის შეცვლა რალა იყო.
რაც თავი მახსოვე, მიჩქმა 2 თებერვალს მომხდარა.
წელს არ ვიცი, როდის იქნება. ზოგმა 1 თებერ-
ვალს იდღესაწაულა, ზოგმა 2 თებერვალს, ზოგს
სულ გადავიწყდა — იყო წელს მიჩქმა თუ არა.

ეს რალაც სიპნი ტიფია და ავადმყოფებს კი
არა, კარგა მყოფ ექიმებასაცა სპობს.
ღმერთი, შენ მიშველე...

ზამთარიც რომ წელს ზამთარს არა გაეს!.. ისე
გაღის, რომ ქალაქში თოვლი თვალით არ გვინა-
ხავს. მზე ისე კაშაშებს, რომ მაისის დღე გეგონე-
ბა. თებერვალში რომ მაისი დაღვეს, მაისში რალა
იქნება?

დიდ მარხეცაც რომ აღრე დაგვიდგა. გწყალობ-
დეთ დიდი მარხვა. ეს დალლუცილი, თუ გასამათრა-

ხემული ქალაქელი ვაჭრები, ისე აქვირებენ სურსათსა და სანოვაგეს, რომ თქვენ მტერს... მგონია ასეთი ღიღი მარხეა ჩემ დღეში არ შემენახოს. ბატონო, ყველაფერს მამასისხლად ჰყიდიან და თუ ჯიბე არ მომდევს და ვერც ყველს იყიდი და ვერც კვერცხსა, რა ჯანდაბის ყველიერი! და თუ ვერც ხინილალს იყიდი, ვერც თევზსა, ვერც ლინოს დალევ, ამაზე კიდევ ღიღი გარხეობა!..

ეს, რა გაეწყობა, ნათქვამია:

საწყალსა კაცსა ვინ მისცემს აღების
ლამებს ლვინოსა?
პური სჭამოს და წყალი სვას, დაწვეს
და დაიძინოსა.
ეშმაკის ფეხი.

ორთეხა ობობები.

არა სახუმარო, არა მედ ცხარე
ცრემლით სატირალი.

(ძღვანდა: ამას, ამას, ამას-ამასა: ედოსა, მედოსა, ჰელოსა, გესოსა, ასილესა, გასინესა, ქრისტინესა, მარიამესა, თლიასა, სონიასა, გოგუცისა—დრაგუცისა, ცაცასა, ცუცასა, ვარდოსა, მარდისა, ახ. ტექისა ჩახატულსა, ნაცნობისა და უწყობისა, თითქმის მთელ საქალათსა).

ამ დღეებში თქვენს უმორჩილესს მონას და ყოველივე თქვენი „კაპრიზების“ უსიტყვოთ აღმასრულებელს, პიტნას, ერთი წიგნი ჩამიგარდა ხელში. ეს წიგნი შეიცავს 500 გვერდზე მეტს, კარგ ქალალზეა დაბეჭდილი, სუფთად არის გამოცემული და ღირს სულ რაღაც ერთი მანეთი და ერთი აბაზი; წიგნის სათაურია: „ცხოვრება და მეცნიერება“. შრომა მართლა და დიდათ სერიოზულია და დიდათ მიკვირს, რომ მოელი შრომა ეკუთვნის ქართველ სტუდენტობას... წიგნში ბევრი საყურადღებო წერილებია მოთავსებული მეცნიერებისა და ცხოვრების სხვა და სხვა დარგიდან, მაგრამ მათში ყველაზე მეტად ამ ერთ ჩემს ყურადღებას იპყრობს სტუდენტ მიხ. ცეცხლაძის მეცნიერული, მაგრამ დიდათ გამდაბიურებული შრომა „სქესობრივი საკითხი“. იქნებ არაფრათ გეპიტნავებოდეთ, იქნებ კიდეც იწყინოთ და მეც და პატივცემული ავტორიც ორივე მიგვაწყველ-მიგვაღუდო, მაგრამ მე ვაინც ჩემსას არ დავიშლი და ერთ ადგილას ამ შრომიდან საესებით ამოვწერ და შენ გინდ წაიკითხ და გინდ ნუ. გურამიშვილმა სთქვა: „მე ეს ხილი საელექტრო დიას სწორეთ გავდეო, შენ თუ მტუდეთ გაიგოი მე რაწყალში ვარდეო“. აი ეს ადგილიც:

„ობაბებში საინტერესო მოვლენას გამჩნევთ: კარგნიბით მიმდები მდედრობითი სქესზე უფრო მომცრო და ნაკლები ტანისაწიც არან, დედის შესანჩქ-

ნებზათ შეთ შორის ხშირათ სამკედლო-სახიცოცხლო რმიმ იმართება, შშეგნიერა არსების (დედლას) სიმშატ-ტა მას კეგეთგნის, ვანტ მშიდნ გამარჯვებელა გამოფა, მაგრამ გაივლის თუ არა თავდაგაწებას წუთი, დედალი მოუბრუნდება და შთანთქას თავის შეუდღეს... ხშირად მამალი საფრდნელი დარბას დედლის ტეზე და მას კეგებროება ფეხებზე, ცდილობის როგორშე დაგმა-დოს და გადარჩეს თავის მოსიყვარულე შეუდღეს... ერთ შეკულებრივ იმსაც კი მთგვიასრიას, თუ როგორ შთანთქა დედალიმ თავისა სატრუტო, სწორეთ იმ დროს, როცა ის უძალესი კრძნიბით იყო გატაცებული და არ დააცალა საჭებით დამკარისით თავდაგაწების წუთით“.

როცა მე ეს ადგილი წავიკითხე, თვალ-წინ და-მიღება... (მაგრამ არ ვიცი გავბედო თუ არა ამისი თქმა, რაც იქნება იქნება გავბედავ, ან კი ვიღისი და რიღასი მეშინია, მეხომ ტირაეში გასული... ვარ). დიახ, თვალ-წინ დამიღება ბევრი, ძლიერ ბევრი არ-ფეხია აბიბა, რომელსაც სჯულიერი მეუღლე ეწოდება, ფეხია და უმარტულს იცხებს, კორსეტს იქი-რებს, მოდაზე ჩატა-დახურვა იცის, სიარულიც იცის, ცყვაც და ტლინკვაც... ხო და რამდენი ვი-ცი, და განა მე ვიცი მარტო, იმდენი წელიწადი შენ გასძელი, რამდენი შენც იცოდე ასეთი მეუღლე, რომელსაც თავისი „ტარიელი“ ჯვარის წერის შემდეგ თუ სავებით არ შთაუნთქავს, სამაგიეროთ მთლად გადაუყლაბაეს თავის ქმრის პიროვნება, მისი მე, მისი ნება და ყველა ის, რითაც იმ „გაცნიბობმდი“ ამაყობდა მართლიბით სქესი... თუ არ გჯერათ, ამი-სი მაგალითები გოდრით მაქვს.

1

ვინ არ იცნობდა ჩემ გიორგის... მისმა ლექ-სებმა აღრე მიიქცის ყურადღება, მაზედ დიდ იმედს ამყარებდენ. მის ლექსის ლამაზ რითმასთან ერთად, ის ტანითაც რითმივანი იყო, გასათხოვაზე ქალები იბნიდებოდენ... უორუკის ბევრი ეხრუკებოდა, მაგ-რამ ის გაურბოდა ცოშმრულ უღელს, ეშინოდა შე-ბოჭვის, მაგრამ ანიკომ ამოილო ნიშანში და შეფ-ცა, რომ ის პირიქით მის შემოქმედებითი ნიჭ ხელს შეუწყობს, დაეხმარება, აამაღლებს... მოსტყუვდა გიორგი, დაუკერა ევას და კამა აკრძალული ხილი და დღეს... იმავე ანიკომ წყალობით გიორგი პრის-ტავი გახლავს... დიახ, ანიკომ არ ეყო პოეზია და იდეია, რაღაც ეს არც ერთი საკელულოთ არ გა-მოღება და იმდენი ეჩინია მეუღლეს, რომ შემოქ-მედებითი კალმის მაგიერ ხელში ააღებია მათრახი და საპროტეკოლო კალმი. ანიკომ შთანთქა გი-ორგი და საუკუნოთ იყოს ხენება მისი.

II

არც ლექსო იყო ურიგო ბიჭი. სემინარიაში სწავლობდა. ლიბერალობდა, აკრძალულ წიგნებს

კითხულობდა... სასულიერო სემინარიამ და სასულიერო პირების გაცნობამ ის დაარწმუნა, რომ ყველაფერი უბედურების მიზეზი სამღვდელოებაა და მანაც საესებით შეიძლება ეს წოლება... სემინარია გაათვა და სოფლის მასწავლებლით წავიდა, ფუცი დალო რომ მთელ მის სიცოცხლეში მასწავლებლობით სოფლისათვის ემსახურა... ცნობილი მასწავლებელი შეიქნა... გაიცნო სოფლის მასწავლებელი ქალი, მაზედ უფრო „მემარტენე“, ლექსო მოიხიბლა: „აი ვისთან შეიძლება ცხოვრების მძიმე ულელი სწიოო“... გადასწყვიტა, თუ სონაც თანხმა იქნებოდა შეუღლებულიყვენ და ერთად ემასწავლებლათ... შეუღლებები... და დღეს ლექსო — ალექსი ბლალოჩინი გახლავთ, სონა კი ფოფოდი სოფიო...“

და როცა სოფიოს ჩამრგვალებულჩასუქებულ არსებას უკერი და როცა ძევლი ჩემი ლექსო ძევლ მეგობრებს დარცხვენით და დამნაშავის თვალით გვიცერის, მაშინ გუნებაში ვამბობ: „საწყალო ჩემი ლექსო, შენი იდეია სონამ შთანთქა მეთქი“. ღმერთმა განუსვენოს ლექსოსაც, არც ეგ ითქმის ცოცხალთა რიცხვში, მისი პიროვნება გაპრერა. სადღაა გატაცებული ლექსო, რომელიც ქვეყნის აბრუნდის გადმობრუნებას ცდილობდა, მოკვდა ლექსო, დღეს პანაშეიდის გადახდა რომ უნდოდეს და ვინმე ქრისტობლისათვის დრამა-ფულის პატივება, ამისი ნება-რთვა ფოფოდილან უნდა გამოითხოვოს, ბლალოჩინათ ითვალება და სახლში კაბინიარქიელი ყავს...“

თუ არ დამებსნებით, ამ ყლაპია ამბობების ონებს მომავალ კვრის კიდევ მოგახსენებთ.

პიტი.

გურული სცენა.

იმსე ქრისტემ თავისი კალთა უხვებისა ამ ჩვენ ქვეყანაში დებერტყაო, გამიგონია ცხონებულ ბაბუადან, დასურ თუ აგი ასე იყო, იმ დალოცვილს არ შეიძლებოდა თლა მაშვინ არ დიებერტყა, და დარცხა ამ გაჭირებული წელიწალიზა მიერთებია? ჰეი დედასა გონჯათ წევიდა ძმავ საქმე. კპილზე დასაცხები აღრაფერია და რაღა მთხლევი ვაჭამო მტერ-მოყვრებს, ცოლ-შეილს. მთელი სოფელი ჩემ ჯიბესავით გამოიხილებულია. ძაღლები დაწოლილი ყველა. თაგვები მოშინაურდენ. მხოლოდ არ მოშინაურდენ მაი გასაუევავი ვაჭრები, გასტეხიან თვალები და საცხა თუ კაპეიკი მუუმატეს იგრი აქანაი შეურს დაკვერუბენ. ჩვენც რომ წივეჭლიტებით თვარა ჰა ჰა დედასა ერთი აგრის დახლში მანახეა ნეტაი მამუდა-ალები. ანდაზაა: „ზოგს ხუცესი უყვარს და ზოგს მისი ცოლიო“. აი მთარეობაც ჩემის აზრის ფოფოდისკინ ყოფილა, ხუცების ცოლებს ხუცებშე უფრო

უფროთხილდება. გამოუგზავნა ასიანები გეიხიზნეთო. კი და ვითამ რას ფიქრობენ მაი ფოფოდიები, ჩვენი ცოლები რომ გაწყდენ და იგენი გადარჩენ, ქვეყანას ეყოფიენ? მარტუა დიაკვნები გამრავლდება ქვეყანაზე.

შენ ნუ ქსიტავ ბიძავ, ბრძოლის ველზე რომ არიან იგენმა იტიროს თვარია, გეტუვის ზოგიერთი. მერე და ბრიყვებმა იგი კი არ იციან — იქინეი ყურ-შუმი რ-რ-რ, ხაპ დეიდ-ხებს და მორჩია ყოლიფერი, აქანი კი — უნდა იფანცხალო მდუღარეში ჩაყრილ კიბორჩხალივით. ამ საღადათისას შეშას უძგარუნე, იმ ზაპასისას ჭილი თრაქე, ამას წიებპარე, იმას წიებიდე, შენ მიხეალ და დატილული, აზლიპინგბული ბალნები, აქეთ ცხვირ-წაშობილი გაკაპასებული ქალი, ნასტაუში ვაინა თუ გინდა აქანა გეიმართება, ჩელარუც შტიქს მეიხმარ და ველარუც ზარბაზანს. ან უნდა მეიწვა კუდი გებენსავით, ანდა ქვაი გახვრიტო და ჩუუტენო პირში რაცხა.

არა, საყიდელიც რომ არ იშონება აგი თქვითვარი ფული? ფული ბე! სიცოცხლე გაქ აგერ ხა, მომივიდეს — გორილ ბათუმილან, ღმერთმა ისე სამართლიანად მიმყოფა იქაური ტაბელჩიკები და სტარშების ოჯახი. იმ მესმის ერთობა და ამხანაგობა. მე აქანა ჩემი ბატონი შენ ხარ ნაცარში ბდლიკის ვაყენებდი და იგენი კი კი იქინეო თურმე ტაბელში მუშათ გვათვლიდენ და ასე თურმე თრმოცდა ათი ტრიკვი დღეი მიწერია, თრმოცდა ათი მანათი და ორმოცდა ათი აბაზი კაი ფარაა ძმავ, ბარე ათი დღის კიდო ჩემი გენისცეცხლი მკვდარი ძმის.

ი დედასა ჩავიჩხრიალებ ჯიბეში ფულებს და მაშინ კი გამევიბეყები და გავაძლებ ჩემს თამარასაც და მაშინ გვიყურეთ სეირს. მომიშუკმუქებს, მუუკუკუკებ, მომიჩინებება მუუჩინებები და ფეხებზე მკიდია ვაენი და მისი ძიგინი, დუუკრავს ჩეგური და მეც მუულილინებ ბოხი ხმით:

თლათ ქვეყანა ეისვარა
დეისვარა, ეირია.

ტყვია, ცეცხლი, სისხლი, ცრემლი
ყველა რაფერ შეირია!
ერთისთვის რაც დალუპვაა
მეორესთვის სერია.

გუშინ ძმაი, დღეს სტრელაი,
გამოსცვალეს ლოზუნგები!

ოს ქვეყანავ, წამებულო
დანგრეულო როდის დგები?

და ამ ლიღინში კიდეც გავათოხარიკებ ამ ზამთარს და მერე ალაბ-ბილურ.

შხანკოლა.

მ ე ზ ო გ ლ ე ბ ი.

ხშირად შეზობლები — მეგობრები არიან. დიდ მეგობრობას — კი ხან და ხან დიდი მტრობა მოსდევს, — ნათქვამია. ჯერ მეგობრებს ერთმანეთი უყვართ. უყრობანერთოთ ჭურს არ მოხდიან. ულოცვენ ერთმანერთს კალანდობას, ყველა დღესასწაულს. პატიუობენ ერთმანერთს ნათლობაში, ქორწილში, ერთის სიტყვით, ლხინში და ჭირში ადგებიან ერთმანერთს.

მაგრამ საკმარისია შეზობლებს ლაპარაკი მოუვიდეთ ან მიჯნაზე — ერთი გოჯი შენერნ გაგიშვიაო, ან მეზობლის ღორი შეიპაროს ყანაში, ან მამდილი დაეკარგოს მეზობელს... მშვიდობით მეგობრობავ, მშვიდობით სიყვარულო...

ასტყდება მეგობრებ შორის შური და მტრობა, გაუთავებელი საჩივარი ერთმანერთზე, დაუსრულებელი ხეტიალი სასამართლოში. ერთი მეორეს ემუქრება:

— ჩოხას გავიხდი, მაგრამ მეზობელს არ დავეჩაგვირინები.

მეორე ემუქრება:

— მაშ ჩალა კაცი ვიქნები, თუ სუდში ეგსაქდე არ მოვიგე.

დადიან სასამართლოში, ადვოკატებთან, ხარჯავნ ფულსა და სიზმარშიაც-კი იმას ხედვენ — მეგავიმარჯვე და მეზობელს თვალი დაეთხარეო.

ასევე სახელმწიფოთა შორისაც.

რუსეთი და გერმანია მეზობლები არიან. ორასი წლის განმავლობაში მეგობრებიც იყენენ. ერთმანერთს ყველაფერში ეხმარებოდნენ.

რუსეთი გერმანიას პურს უგზავნიდა, გერმანია კიდევ რუსეთი — რინასა და ფოლაძი. რუსეთი ხეტყეს უგზავნიდა გერმანიას, გერმანია-კი — მშვენიერ როიალებსა და პიანინოს. რუსეთი უგვად უგზავნიდა გერმანიას საკვებს — კვერცხსა, ღორს, თეჭხს, ხიზილალს, გერმანია გზავნიდა რუსეთში ახალ მოდის კაბებს, ხელთათმანებს, კალმებს, ყარანდაშებს, ქალალდს, სურათებს, სათამაშოებს. რუსეთი უგზავნიდა გერმანიას შავქებს. გერმანია აკეთებდა ზარბაზნებსა და ყუმბარებს და თავის შხრივ არ შურდა რუსეთისთვის შავი-ქეის სამაგიეროდ ტყვია-წამალი და ცხელი ნაცარი.

მერე დიდ მეგობრობას მოყვა დიდი სიძულვილი, შური და მტრობა

მტრობაშ მიმი გამოიწვია.

ეხლა რუსეთს გერმანიისთვის ლუქმა პურს შურს.

მილოცვის და მოკითხვის მაგიერად რუსეთი და გერმანია ერთმანერთს ყუმბარებს უშენენ.

იაპონია და გერმანიაც ერთ დროს დიდი შეგობრები იყვნენ, მაგრამ ეეროპაში ატებილმა ომმა ისინიც ერთმანერთს წაჰვიდა.

იაპონიამ გერმანიას მომ გაშოუცხადა და კარგი ლუქმა წაართვა ჩინეთში...

ორი მეზობლის ჩხუბმა თითქმის მთელი ქვეყანა წასხვებოს ერთმანერთს.

მეზობლები ერთმანეთს გადაემტერნენ და ასტყდა მთელ ქვეყანაზე გაუთავებელი ულეტა.

ლმერთია მოწამე, მე ჩემ მეზობლებთან არ დიდი მეგობრობა მქონია და არც მტრობა. ვიყავი ჩემთვის სულ განაბული, ჩემ ქერქში. მეგონა, მე არავინ მერჩის, მაგრამ, ვაი სულო!.. ისე დაერივნენ ერთმანერთს, რომ ეხლა მეც მეშინიან. ნათქვამია — აქლემები წაიკიდნენ და შუაში კოზაკი გაული-ტეს.

მეც სწორედ ამისი მეშინიან — არ გამჟყლიტონ...

კოზაკი.

სოფლეული ქალაქში

ბავშობისას ერთი ამხანაგი მყავდა სოფელში. ერთად ესწავლობდით და ერთმანერთი გვიყვარდა. ამხანაგს დედმამა აღრე დახმოცა. სკოლას თავი დაანება, ოჯახის მოვლა-პატრიონობას მოკიდა ხელი, დაცოლ-შეილდა და სმენდამოდ სოფელში დაბინავდა. ისე გაატარა თვისი ცხოვრება, რომ ტფილისში ერთხელაც არ ჩამოსულა.

ზაფხულში ვეწვი სოფელში, გავიხსენეთ ძევლი მეგობრობა. წმინდას დროს ვოხვევ-ზამთარში ხომ ბევრი საქმე არა გაქვს სოფლად, მეწვი ქალაქში, ბევრს რასმე სასიამოვნოს ნახავ, რაც არ გინახავს.

ქლოხან მეწვია მეგობარი. გამეხარდა. ქალაქი დავატარე და საღამოთი თეატრში წავიყვანე. მეგობარს წარმოდგენა ძლიერ მოეწონა. ანტრაქტის დროს დერეფანში დაესეირნობდით.

ორი ახალგაზდა კაცი ერთმანერთს ელაპარაკებოდა. მეგობარი ყურს უგდებდა. მეც დამიძახა.

ერთი ეუბნებოდა მეორეს:

— მაშ ეგრე? ძლიერ ცუდათ არის საქმე?

— ძლიერ ცუდათ. არ ვიცი რა ვქნა... ერთი ყალბი ანდეგიძი, ორი კაცის მოკელა და ერთი დაზღვეული სახლის გადაწევა... ამ საქმეების მეტი ჯერ არ მაქვს. არ ვიკა, რა მეშველება...

ჩემი მეგობარი შიშმა აიტანა. ვკითხე — რა დაგმართა?

მეგობარმა მკითხა: „ვინ არიან?“
გამეცინა.

ჩემი კარგო, ნუ გეშინიან, აქაური ახალ-
გაზღვა ვექილები არიან.

მაღალი, მოსული კაცი ეუბნებოდა ტან-წერ-
წეტა ლამაზს ქალს:

— რატომაც არ მექნება ფული? გაკოტრდება
კაცი — ჩემთან მორბის, მოუკვდება ვინმე და დასა-
მარხი ფული არა აქვს — ჩემთან მორბის, დღესაწაუ-
ლი დადგება — მე უნდა მომაშუროს, სამსახურიდებან
დაითხოვენ მე უნდა შემოტრიროს. ერთის სიტყვით,
ვისაც გაუჭირდება რამ — ჩემი მსხევრპლია, ჩემ ბრჭყა-
ლებში უნდა ჩაიკრდეს, ყმად გავიხდი და ვთლი,
ვატყავებ უბედურს...

ჩემი მეგობარი აღელდა. ვინ არისო, — მკითხა.
უკასუხე; ბან კერია... თქვენში მევაშეს ეძახიან.
შევედით თეატრის დარბაზში და დაცხედით.

ერთი კაცი ეუბნებოდა მეორეს:

— პო და მე დღეს სამი კაცი გავჭერი. მარ-
თალია, ერთი მოკვდა, მაგრამ ორი სიკვდილს გა-
დურჩება. ერთი კიდევ ორ თვეს იურაბლებს.

მეორე კი, თუ კიდევ არ გავჭერი, ორ კვირაზე
მოკვდება...

მეგობარი შეშინდა. დავამშეიდე: ნუ გეში-
ნიან — აქაური ექიმები არიან, ხირურები...

მეგობარი წიმოხტა.


— არა ძმაო, შვიდობით, აქ ყერ გავჩერდები.
ამაღლვე სოფელში მივდივარ. მეც უკან გავყევი მე-
გობარს.

ორი კაცი დაგვეწია. ერთ-მეორეს ეუბნებოდა:

— ისე გავხადე, ისე გავთათხე, შევარცხვინე,
თავს ლაფი დავასხი, მტკვარი ვერ გარეცხავს...

ურნალისტები არიან, — წავჩურჩულე მე-
გობარს. მაგრამ ყური ვინ დაგიგდო. ჭაბუმი არ
უჭამია. გაქუსლა რკინის გზის სადგურზე და წა-
სვლის დროს მითხრა: „ფეხი მომტყდეს, თუ კიდევ
ტფილისში ჩამოვიდო“.

ტფილელი.



დ ე პ ე შ ე გ ი

(„შათრახის“ საგუთარ ქარქსპოდენტისაგან)

ბათოში. ჩეენი გასართობი ეს გახლავთ. ზღვის
კიდეზე რომ კვამლს დავინახავთ, გაიმართება ნიძ-
ლევი: „გებენი“ მოდის თუ „ბრესლაუ“. სროლის
რომ დაგვიწყებს, მცოდნე კაცები ამბობენ: „გებე-
ნის“ ზარბაზნებია. ან კიდევ „ბრესლაუსი“. მერე
უუმბარების ნაჟუპებსა ვკრებთ და სახსოვრათ ვინა-
ხავთ.

ბოლო დროს ნიძლავი წაგვიხდა, მტრის გემი
გამოჩნდა. ზოგი ამბობდა „გებენიაო“, ზოგი —
„ბრესლაუ“. ნამდვილად კი თურმე „შეჯიღიე“
ყოფილა.

ბაქო. ვით თქვენი კორესპონდენტის ბრალი,
თორემ მდიდრი ბაქოელებს რა უჭირთ! ქვაცა აქვთ
და კაკალიც, ნავთიც და ბარკალიც. მდიდრები
მოსკოვსა და პეტრებულში გაიხიზნენ. ჩინოვნიკებს
გამოუტადეს: ვისაც ცოლ-შვილი გყავთ, ფული
წაიღეთ ხაზინიდნ და ცოლ-შვილი რუსეთში გაგ-
ზავნეთო. ორიოდე ჩინოვნიერი გაბრიუვდა: ცოლები
შეირთეს და ხაზინას ფული მოსთხოვეს. მთავრობამ
უარი უხთრა. ეგ ჯერი არ არისო, ახალ ჯვარ და-
წერილებს ფულს არ ვაძლევთო. დადიან ეხლა ახ-
ლად ჯვარ-დაწერილი ყურებ ჩამოყრილი.

არდაგანი. თქვენს მტრებსა და დუშმანს, ჩეენ

რომ ეხლა საქმე დაგვემართა. მოვიდა თათარი —
აქელგან წავედოთ, წავიდა თათარი აქ მოვედით.

ხეტიალში ცხენი წაგვეტა, სახლი დაგვეტა. ერთის

სიტყვით, საითქმაც გაფექცით, იქით წავიქეცით.

გორ. 11 იანვარი: გამოვიდა გაზეთი, „ქართლი“.

12 იანვარი: გაზეთის „ქართლის“ გამოსულა
რედაციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო

შეჩერებულია.

13 იანვარი: გამოვიდა ახალი გაზეთი „ახალი

ქართლი“.

14 იანვარი: „ახალი ქართლის“ გამოცემა შე-

ჩერდა.

15 იანვარი: გამოვიდა „განახლებული ახალი

ქართლი“.

26. იანვარი: „განახლებულ ახალ ქართლის“

გამოცემა დროებით შეჩერებულია.

5 თებერვალი: ნამდვილად შევიტყეთ, რომ
ხელ-ახლა გამოვა „უგანახლებულესი ახალი ახალი
ქართლი“.

დარუბანდი. აქ სრული მშეიღობიანობაა. თა-

თრი სა ლეკი ერთმანერთს ოშის გამოცხადებას არ
უპირებენ.

ერევანი. დეპეშამ ამბავი მოიტანა: თათრები
მოდიანო — მცხოვრებნი გაიხიზნენ. დეპეშამ ამბავი

ოიტანა: თათრები წავილნენო - გახიზულები დაბრუნდენ.

განი. ჯერ-ჯერობით არავინ იცის დანამდევილებით: ვანი სომხეთის ავტონომიის სატახტო ქალაქია, თუ ვანში ჯერ ისევ თათრის ფაშა ზის ტახტზე.

ზაქათალია. აქ სრული მშვიდობაა. ხბო და მგელი ერთად სძოვენ.

თელავი. დიდი ბედნიერება გვეწვია: ღვნონ ალარავის მიაქვს და... ჩვენ თეთოთ გიახლებით მართალია, ფული მოგვალდა, მაგრამ... ხომ იცით, „ქართველს თუ ლვინო ბევრი აქვს, ყველა ფეხებზე ჰკიდია“.

იალბუზი იალბუზზე დასახლებულს „მათრახის“ კორეპონდენცის „ხალლი ვერ დაჰყეუს“. ვარ აქ ჩემთვის არხეონად და ბედნიერად. ვერც თათრი ამოვა აქ და ვერც ყაზახი მოვა თათრის გასაძევად. ვარ და ბედნიერი ვარ...

ჰროვინციებიდან:

სოფ. ქვალონი. კვირას, 8 თებერვალს, დანიშნულია პანაშვიდი, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ - გარდაცვლილ ქვალონის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სულის მოსახლეებისთვის.

ხობი. სამკითხველოს უკეთობა ეტყობა, სიცხე უკლი. მაჯის ცემა ნორმალური აქვს.

ზუგდიდი. „მამულიშვილ ფედერალისტებს გადაუწყვეტიათ საქითხველოს არ გამოიწეროთ გაშ. „ახალი-აზრი“, და ამ საშეალებით გბრძოლონ მარქსის თეორიას.

იქიდანვე. სრული სამი დღე და სამი საათი შესრულდა, რაც „ბახუსისტები“ თავადებს არც ყავა-ხანაში და არც გვასალის სასტუმროში ჩხუბი არ აუტეხიათ.

იქიდანვე. რაკი ქუჩაში სიარული შეუძლებელია, დაბის „მამებს“ გადაუწყვეტიათ გამოიწერონ დანაკლიიდან ომის გამო შეჩერებული შავი-ზღვის ფილუქები.

ახალ-სენაკი ქალებმა შვამდგომლობა აღმარეს სადაც ჯერ არს; რაკი უშერეს ნაწილი ახალგაზრდობის ბრძოლის ველზე გაწვეული, შემოღებული იქნას ისლომის კანონები, რომ თითო ყმაშვილს ნება ჰქონდეს 3-4 ცოლი იყოლის.

ზუგდიდი. წიგნის მაღაზიის პატრონ აღამიანს გადაუწყვეტია: თუ მისი მეზობელი ჩარჩი, თვითო-

ნაც ივაჭროს წიგნის მაღაზიაში ჩარჩული საქონლით, რომ თავიდან აიცდინოს მოსალოდნელი კრიზისი.


პროგინციელი ჭინკა.
(შემდეგი შემდეგ)

მათრახი „პაგრომჩიკ“ გურულებს.

გამ. „აზრის“ აზრიანშა კორესპონდენტმა თავისი ყურადღება შეაქცია და გამაქვეყნა შემდეგი: ნაძირალ გურულებს უსარგებლია აჭარის დღევანდელი უბედურებით და ურცხვათ ძარცვას უკატრინოთ მიტოვებულ აჭარლების სახლ-კარსო, — მუარეთ გვაცნობებს გაზეთის მოამბე. ცხდია გათახსირება და სინიდის-ნამუსს შებრალებზე ხელის აღება ამაზე შორს არ წავა, მაგრამ სასიხარულოთ ეს მიგვაჩინა, რომ ამას ამედიანებს თვით გურულები და იხვეწებიან: მახინჯი შეილები გვირევინ, ხელ მრუდები და გოხოთ მოგვეშეელოთ, დაგვიხენით იმ არამზადებისაგან. ჩვენ გვაჯერა და გეწამს, რომ გურულები ლაგამს ამოსდებენ ამ ორფეხა-მხეცებს, აღმოაჩენენ დამნაშავეებს და მათ სამარტვინო ბოძე გააკრავენ, „ალაიაში გაარონიებენ“.

მართალია დღეს გურულებს ბევრი ფხნელი ძალა აკლია, ბევრი გურიის საუკეთესო შეილი ძრძოლის ველზე, მაგრამ ამით ნუ წათამაშდებიან „ხულიგან—პაგრომჩიკები“, კარგად იცოდენ ამ ვაჟბატონებშია, რომ გურიაში ჯერ კიდევ არის სამისო ძალა, შეგნებული და ფხნელი ელემენტები, რომ ამ ღამის გმირებს მოერიოს, ვირზე პირ უკულმა შესვას და მათრახით ზურგი აუკრელოს... ჩვენც სიამოვნებით მივიღებთ მონაწილეობას ამ „მეომრების“ დასჯაში და „მათრახის“ ფურცლებზე „ჩაგაფარეთებთ“ ზურგზე ტაშტ-კარდალ-საბან-ლეგაბობა აყიდებულებს და იმდენს უცხუნებთ „მათრახს“, რომ სულ ვაი დედა მოვკვდი, მოვკვდით იძხონ.

რიცა.



შეპიორება

ჩოხატაური, ს — მელის.

ვიცით, რომ სიმართლე გიყვართ და ისე მაგრათაც, რომ მედიატორებთა განაჩენსაც აკრიტიკებთ და თვით მედიატორებსაც სამედიატორო სამართალში იწვევთ, ამიტომაც ვენდობით თქვენს „კეთილ სინდისიერებას“ და გთხოვთ გვიპასუხოთ:

1) ის ვინ იყო, ჩოხატაურიდან რომ შორეულ აღმოსავლეთისაკენ წავიდა, იქ ერთ ქალაქში „პიგნია“ გახსნა და მეძავ ქალებთან ბუქნა-დავლურს უკლიდა?

2) ის ვინ იყო, რომ ლუდის „გატებილება“ დასწამეს, ამხანაგები იქ დატოვა ჩასახელმწიფო ხარჯზე და თითონ კი იქიდან განერინა?

3) ის ვინ იყო თუთხმეტი კაცი და მეთექესმეტეთ ერთი „ცნობილი“ პირი რომ შეაცდინა და სიმინდის თხოვნის ნაცვლად მედიატორებთა განაჩენზე პროტესტი განაცხადებინა?

4) ის ვინ არის, სხვის თვალში რომ ბეჭვს

დეირეთ ხედავს და მის თვალში ამოსული „ხელფეხინი“ მუხა ნემსათაც არ უჩანს?

ყველა ამ კითხვაზე თუ შესაფერ პასუხს გაგვ-ცემთ, ჯილდოთ მიიღებთ წმინდა აღგილიდან გასაცოცხლის.

აკეთელი.

შერილი რედაქციის


ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ თქვენი უურნალ „მათრახის“ მე-30 №-შიდ, „ბერი-ქედანის“ მიერ ხელმოწერილი კორესპონდენცია ს. ხვარბეთიდან მე არ მეცუთვნის და არც რამე და-მოკიდებულება მაქვს თქვენთან.

პატივისცემით კესა, გ—ას, თოხაძისა.

ვამოწებ, რომ ზემოხსენებული კორესპონდენტი კესა ოხაძისას არ ეკუთვნის და არც ჩევნს კორესპონდენტათ ითვლება.

„მათრახის“, რედაქციისა

ცნობილი ლექტორი



— გთხოვთ ეხლა გააგები სიტყვებით ზავისსნათ ლექციის შინაარსი.